საქართველოს პარლამენტის
კულტურის კომიტეტის
სხდომის ოქმი N 13

2021წლის26 ოქტომბერი,14:00საათი
ქ.თბილისი,რუსთაველის გამზირიN8

(Aკორპუსი,IIIსართული,ოთახიN304)

სხდომას უძღვებოდა კომიტეტის თავმჯდომარე **ელისო ბოლქვაძე**

სხდომის მდივანი: ლალი ლორია - აპარატის თანამშრომელი.

სხდომას ესწრებოდნენ კომიტეტის წევრები: **ირაკლი მეზურნიშვილი, ქეთევან დუმბაძე, დავით მათიკაშვილი, ხათუნა კვიციანი, ჩხეიძე ნატო (უფლებამონაცვლე) - როსტომ ჩხეიძე, არმაზ ახვლედიანი, გრიგოლ ვაშაძე.**

სხდომაზე დამსწრე სხვა პირები: აპარატის და მასმედიის თანამშრომლები.

სხდომა გახსნა კომიტეტის თავმჯდომარემ ელისო ბოლქვაძემ.. მან დაადასტურა კომიტეტში კვორუმის არსებობა და დეპუტატებს გააცნო დღის წესრიგი, რაც დაამტკიცეს ხმათა უმრავლესობით.

დღის წესრიგი

1. საქართველოს კანონის პროექტი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (07-2/44; 31.05.2021) - განხილვა მეორე მოსმენით.

   მომხსენებელი: ჯემალ გამახარია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

2. საქართველოს მხატვართა კავშირის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება „შემოქმედებით მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ’ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ’ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (N1-10914/21; 03.08.2021) - განხილვა

3. კულტურის კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ - ინიცირების განხილვა.

მომხსენებელი: ელისო ბოლქვაძე- კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე

1. **მოისმინეს**: საქართველოს კანონის პროექტი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ , რომელიც კომიტეტის სხდომაზე მეორე მოსმენით განსახილველად წარმოადგინა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ჯემალ გამახარიამ.
მუხლობრივი განხილვის დროს დეპუტატების მხრიდან შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოთქულა.

1. **კომიტეტმა გადაწყვიტა:** კომიტეტმა ერთხმად დაუჭირა მხარი კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვას პლენარულ სხდომაზე.

2. **მოისმინეს:** საქართველოს მხატვართა კავშირის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება „შემოქმედებით მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ’ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ’ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით.

2.კომიტეტმა გადაწყვიტა: საკანონმდებლო წინადადების განხილვა გადაიდო კომიტეტის მომდევნო სხდომაზე.

3. **მოისმინეს:** კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის, ელისო ბოლქვაძის მოხსენება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, სახელოვნებო განათლების საგნებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ასწავლიან მხოლოდ ის პედაგოგები, რომლებსაც აქვთ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ხოლო ასეთი სპეციალისტების რაოდენობა არის ძალიან ცოტა. შესაბამისად, სახელოვნებო განათლების საგნების სწავლება სკოლებში უწევთ არა დარგის სპეციალისტებს, არამედ სხვადასხვა საგნის მასწავლებლები (მაგ: ფიზიკის და ა.შ), რაც თავისთავად აისახება განათლების ხარისხზე.

საკითხის განხილვისას მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილებების შედეგად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სახელოვნებო განათლების სწავლების უფლება ექნება როგორც უმაღლესი განათლების მქონე პედაგოგებს, ასევე იმ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ პროფესიული განათლება და არიან დარგის სპეციალისტები. ზემოაღნიშნული ცვლილება კი თავის მხრივ უზრუნველყოფს ბავშვებისათვის ხარისხიანი სახელოვნებო განათლების მიწოდებასა და ამ მიმართულებით საკადრო რესურსის გაზრდას.

წარმოდგენილი კანონპროექტით საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ მე-2 მუხლის „ღ[4]“ პუნქტში და 21[3] მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში ემატება სიტყვები „**სახელოვნებო ან**“.
კომიტეტის წევრებმა აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით გამოთქვეს მოსაზრებები. ისინი მიესალმნენ იდეას და ხაზი გაუსვეს საკითხის მნიშვნელობას.

3.კომიტეტმა გადაწყვიტა: კომიტეტმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილი კანონპროექტის ინიცირებას.

სხდომის თავმჯდომარე	ელისო ბოლქვაძე
სხდომის მდივანი	ლალი ლორია